



სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი

ND 2- 033

*დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის
სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020
წლის 30 ნოემბრის №18/11 გადაწყვეტილებით*

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	2
მუხლი 2. მოთხოვნები სამეცნიერო კონფერენციაზე ნაშრომის წარდგენის ფორმატზე.....	3
მუხლი 3. საკონფერენციო ნაშრომის შაბლონი.....	7





1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე პროცედურა განსაზღვრავს საზღვაო აკადემიაში სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზნით კონკურსის გამოცხადების, სტუდენტთა ნაშრომების წარდგენის, შეფასების, შერჩევისა და დაჯილდოების წესს.
- 1.2. სტუდენტური კონფერენციის ყოველწლიურად ჩატარების მიზნით, საკონფერენციო ნაშრომების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზღვაო აკადემიის რექტორი.
- 1.3. სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზანია:
 - სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა;
 - სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
 - ახალგაზრდა მკვლევარების წახალისება.
- 1.4. კონფერენციის მონაწილეები შეიძლება იყვნენ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.
- 1.5. სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საზღვაო აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ემერიტუსი. შესაძლებელია ერთი პირის მიერ ერთდროულად სამი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა.
- 1.6. საკონფერენციო ნაშრომის მომზადება და წარმოდგენა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ან არაუმეტეს სამი სტუდენტის მიერ. პრეზენტაციაში მონაწილეობს ყველა თანაავტორი.
- 1.7. კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომის თემატიკისადმი წაყენებული მოთხოვნა განპირობებულია საზღვაო აკადემიის მისიითა და საკვლევო სფეროების პრიორიტეტებით. ასევე, შესაძლებელია ნაშრომების წარდგენა საზღვაო აკადემიის, მისი ფაკულტეტების, დეპარტამენტების სპეციფიკიდან, ავტორების წარსული გამოცდილებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.
- 1.8. ნაშრომში აბსტრაქტიდან საკვანძო სიტყვები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც ეს ნაშრომის წარმოდგენის შაბლონშია მოცემული.
- 1.9. კონფერენციის მოსამზადებელი და საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად რექტორის ბრძანებით იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი.
- 1.10. საკონფერენციო ნაშრომების რეგენზირებასა და შერჩევას განახორციელებს სარედაქციო კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, სარედაქციო კომიტეტს უფლება აქვს მოიწვიოს საზღვაო აკადემიის ნებისმიერი აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, საზღვაო აკადემიასთან არააფილირებული პროფესორი, ან გარეშე ექსპერტი.



- 1.11. საკონფერენციო ნაშრომები მოწმდება ორიგინალობაზე მსგავსების აღმომჩენი კომპიუტერული პროგრამის Turnitin-ის გამოყენებით.
- 1.12. საკონფერენციო ნაშრომის ვერბალური (მოხსენებითი) წარდგენა კონფერენციაზე უნდა მოხდეს Power Point-ის (PPT) პრეზენტაციის სახით.
- 1.13. კონფერენციის მასალები (ნაშრომები) ელექტრონული ჟურნალის სახით აიტვირთება აკადემიის ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე. ელექტრონულ ჟურნალში მოხდება მხოლოდ ის ნაშრომები, რომლებიც ვერბალურად იქნება წარმოდგენილი კონფერენციაზე.
- 1.14. ნაშრომის სრული მოცულობა (ტექსტი, ნახაზები, დიაგრამები, ილუსტრაციები და სხვა) არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 10 გვერდს. სტუდენტებისათვის არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 8 გვერდს. მოხსენებებისთვის გამოყოფილია 10-15 წთ., კითხვა - პასუხისთვის 3-5 წთ.

2. მოთხოვნები სამეცნიერო კონფერენციაზე ნაშრომის წარდგენის ფორმატზე

- ფურცლის ზომა: A4;
- შრიფტი (ფონტი): Sylfaen
- მინდორი (დაშორება ფურცლის კიდეებიდან): მარცხნიდან - 2.5 სმ; მარჯვნიდან, ზევიდან და ქვევიდან - 2 სმ.

ნაშრომის ზოგადი სტრუქტურა

- ნაშრომის თავფურცელი აბსტრაქტით (Abstract);
- ნაშრომის სრული ვერსიის ტექსტი (Research paper);
- დასკვნა, კვლევის შედეგები (Conclusions, Results of research);
- გამოყენებული ლიტერატურა (References).

ნაშრომის თავფურცელი აბსტრაქტით

- ნაშრომის სათაური ქართულ და ინგლისურ ენაზე: 14 pt, გამუქებული, სწორი, ცენტრირებული;



სათაური უნდა იყოს მოკლე და ინფორმატიული, უნდა შეესაბამებოდეს ნაშრომში წარმოდგენილ შედეგებს. სასურველია, სათაური არ შეიცავდეს 10-ზე მეტ სიტყვას. სათაურში სასურველი არ არის საკუთარი სახელების, სავაჭრო ნიშნების ან ბრენდების დასახელებების გამოყენება, ასევე შემფასებელი ტერმინოლოგიის გამოყენება (მაგალითად: ზუსტი, მნიშვნელოვანი, კარგი და ა.შ.).

- **ნაშრომის ავტორ(ებ)ი: სახელი, გვარი: 11 pt, გამუქებული, სწორი, ცენტრირებული;**

ნაშრომის ავტორების გვარი და სახელი უნდა დაიწეროს ერთ ხაზზე, ერთმანეთის მიყოლებით და ერთმანეთისგან უნდა გამოიყოს მძიმით, პირველად უნდა დაიწეროს პრეზენტატორი (პასუხისმგებელი) ავტორის გვარი, სახელი.

სტუდენტის მიერ, შესრულებულ ნაშრომზე სასურველია ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების აღნიშვნა. ასევე, მეცნიერ ხელმძღვანელის გვარი, სახელის დაწერა.

- **ავტორ(ებ)ის საკონტაქტო რეკვიზიტები: 10 pt, სწორი, ცენტრირებული;**

უნდა დაიწეროს ავტორ(ებ)ის აფილირების დაწესებულების დასახელება, აფილირების დაწესებულების მისამართი და პასუხისმგებელი ავტორის E-mail.

- **აბსტრაქტის ტექსტი (ქართულად და ინგლისურად), არაუმეტეს 200 სიტყვა: 11 pt, სწორი;**

აბსტრაქტი წარმოადგენს ნაშრომის მოკლედ გადმოცემულ შინაარსს (სასურველია ერთ აბზაცში), სადაც მკაფიოდ და ლაკონურად იქნება ჩამოყალიბებული ნაშრომის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები, ასევე კვლევაში გამოყენებული მეთოდ(ებ)ი და მთავარი შედეგები.

აბსტრაქტში არ არის სასურველი ციტირების გამოყენება.

- **საკვანძო სიტყვები (Keywords), 3-5 სიტყვა: 11 pt, სწორი;**

აბსტრაქტის ქვემოთ უნდა ჩამოიწეროს საკვანძო სიტყვები, რომელიც უნდა გამოხატავდეს ნაშრომის ძირითად შინაარსს, ნაშრომში წარმოდგენილ მთავარ



კონცეფციას. საკვანძო სიტყვები აადვილებს ნაშრომის ვებ-მოძიებას და შესაბამისად ხელს უწყობს ნაშრომის ციტირების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

ნაშრომის სრული ტექსტი

- ნაშრომის სრული ტექსტი, ძირითადი ტექსტი: ფურცლის შუაში, შრიფტი: 12 pt, სწორი;
- დაშორება სტრიქონებს შორის: 1 ½;
- აბზაცი: პირველი ხაზი, 1.27 სმ;
- აბზაცებს შორის დაშორება: 6 pt;
- მათემატიკური ფორმულები: MS Equation 3.0-ის რედაქტორში, ცენტრირებული, თანმიმდევრულად დანომრილი ფორმულის მარჯვენა მხრიდან;
- ნახაზები/დიაგრამები/ცხრილები/ილუსტრაციები: ფორმატი TIFF 300 dpi, დასახელება 10 pt, ცენტრირებული, დანომრილი;
- ნაშრომი უნდა გამოიგზავნოს გვერდების ნუმერაციის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა და ციტირების წესი

- ტექსტში გამოყენებული წყაროების (სათანადო წესით შედგენილი) ჩამონათვალი უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს და დაინომროს ტექსტში გამოყენების/ მოხსენიების თანმიმდევრობით: 1929
 - ✓ წიგნის შემთხვევაში: ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი, წიგნის დასახელება, ნაწილის/ტომის ნომერი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, გვერდების რაოდენობა;
 - ✓ სამეცნიერო პერიოდიკის/საკონფერენციო ნაშრომთა კრებულის შემთხვევაში: ნაშრომის ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი, ნაშრომის სათაური, პერიოდიკის/კრებულის დასახელება, ნაწილის/ტომის ნომერი, გამოცემის



ადგილი, გამოცემის წელი, ნაშრომის დაწყების-დასრულების გვერდის ნომერი;

✓ ინტერნეტის გამოყენებით მოპოვებული წყაროს შემთხვევაში: სტატიის/რესურსის ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი, სტატიის სათაური, ინტერნეტ-გვერდის ელექტრონული მისამართი, ბოლო განახლების თარიღი.

- უცხოური წყაროები უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე;
- დასკვნაში ლიტერატურის მითითება არ არის სასურველი.

ციტირების წესი:

➤ **შიდა ტექსტური მითითება:** ტექსტში ციტირებისას, (როცა ციტირებული ტექსტი უცვლელადაა გადმოტანილი) ციტირებული ტექსტი უნდა მოთავსდეს ბრჭყალებში, ხოლო ციტირების ბოლოს ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს წყაროს ნომერი (კვადრატულ ფრჩხილებში) და ციტირებული ტექსტის გვერდი გამოყენებული ლიტერატურის ნუსხიდან, მაგალითად: ([4], გვ.64), ან ([6], გვ.89-90).

ანალოგიური წესით ხდება ციტირება, როცა ტექსტი პერიფრაზის სახითაა გადმოცემული (ავტორისეული იდეის შეუცვლელად), მაგრამ თუ პერიფრაზი სრულად ფარავს წყაროსეულ ტექსტს და გვერდის მითითება არ არის აუცილებელი, ამ შემთხვევაში საკმარისია მიეთითოს მხოლოდ წყაროს ნომერი კვადრატულ ფრჩხილებში, მაგალითად [3];⁹

➤ **სქოლიო:** ავტორის შენიშვნები და კომენტარები უნდა გაფორმდეს სქოლიოს სახით გვერდის ბოლოში, დაინომროს არაბული რიცხვებით, შრიფტის ზომა - 10 pt.

ნაშრომის წარდგენის წინამდებარე ფორმატის შედგენის დროს, გამოყენებული იყო საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (IAMU) მიერ ნაშრომების წარდგენის ფორმატზე დადგენილი მოთხოვნები.



3. საკონფერენციო ნაშრომის შაბლონი

სახელი გვარი¹, სახელი გვარი², სახელი გვარი¹, ...

1. აფილირების უსდ-ს დასახელება, უსდ-ს მისამართი;

2. აფილირების უსდ-ს დასახელება, უსდ-ს მისამართი;

პასუხისმგებელი ავტორი: E-mail:, Tel.:

აბსტრაქტი: აბსტრაქტი წარმოადგენს ნაშრომის მოკლედ გადმოცემულ შინაარსს (სასურველია ჩაიწეროს ერთ აბზაცში), სადაც მკაფიოდ და ლაკონურად იქნება ჩამოყალიბებული ნაშრომის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები, კვლევაში გამოყენებული მეთოდ(ებ)ი და შედეგები. სიტყვების რაოდენობა აბსტრაქტში არ უნდა აღემატებოდეს 250-ს.

საკვანძო სიტყვები: პირველი საკვანძო სიტყვა, მეორე საკვანძო სიტყვა, (3-5 საკვანძო სიტყვა)

Abstract: Abstract and keywords must be prepared in English also

Keywords: first keyword; second keyword; third keyword (three to five pertinent keywords should be listed)

1. შესავალი

წინამდებარე შაბლონი წარმოადგენს ფორმატირებულ, ჩარჩო ინსტრუქციას იმ ავტორებისათვის, ვისაც უკვე მომზადებული აქვს ნაშრომი კონფერენციაზე წარსადგენად (გამოსაქვეყნებლად) და საჭიროებს მხოლოდ სტატიის ტექსტის გაფორმებას კონფერენციის სარედაქციო კომიტეტის მიერ მოთხოვნილი ნორმების დაცვით.

შაბლონი გამოგზავნილია “MS Word Document”-ის სახით და ავტორს შეუძლია შაბლონის განმარტებითი ტექსტები ჩაანაცვლოს თავისი ნაშრომის ტექსტებით ფორმატირების შენარჩუნებით.

ავტორი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ნაშრომის წარმოდგენის სტრუქტურა, ანუ ნაშრომის ტექსტში „1. შესავალი“-ის შემდეგ გამოყოს სხვა ნაწილები,



მაგალითად: „2. კვლევის მეთოდი“; „3.“; „4. შედეგები“ და სხვა (ავტორის შეხედულებისამებრ). ან, საერთოდ არ გამოყოს ნაშრომში ქვესტრუქტურა (მათ შორის არც „1. შესავალი“)

ავტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ნაშრომი უნდა მომზადდეს თაბახის (A4 ზომის) ფურცელზე და რეზიუმესთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს. ტექსტის დასაბეჭდად გამოყენებულ უნდა იქნას შრიფტი (ფონტი) Sylfaen, დაშორებები ფურცლის კიდეებიდან უნდა იყოს: მარცხნიდან - 2.5 სმ; მარჯვნიდან, ზევიდან და ქვევიდან - 2 სმ.

ნაშრომი უნდა გამოიგზავნოს გვერდების ნუმერაციის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] Lastname 1, A.B.; Lastname 2, C.D. Title of the article. Journal Name, vol. 1, pp. 1-6, Year.
- [2] Lastname 1, A.; Lastname 2, B. Title of the chapter. In Book Title, Publisher, vol. 3, pp. 57-157, Year.
- [3] Lastname 1, A.; Lastname 2, B.; Lastname 3, C. Book Title, 3rd ed., Publisher, pp. 19-75, Year.
- [4] Lastname 1, A.B.; et al. Title of the article. Proceedings of the Name of the Conference, pp. 1-4, Year.
- [5] Institution/Organization. Title of the publication. The publication label, Year.
- [6] Institution/Organization. Title of the online publication. Available online: URL (accessed on Day Month Year).
- [7] ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი. ნაშრომის სათაური. პერიოდიკის/კრებულის/ჟურნალის დასახელება, ნაწილის/ტომის ნომერი, ციტირებული სტატიის დაწყების-დასრულების გვერდის ნომერი. გამოცემის წელი.
- [8] ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი. წიგნის დასახელება. მერამდენე გამოცემაა. ნაწილის/ტომის ნომერი, წიგნის გამომცემელი, გვერდების რაოდენობა. გამოცემის წელი.
- [9] სტატიის/რესურსის ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი. სტატიის სათაური. ინტერნეტ-გვერდის ელექტრონული მისამართი. ბოლო განახლების თარიღი.

დამატებითი განმარტებები

ნაშრომის სათაური უნდა იყოს მოკლე და ინფორმატიული, უნდა შეესაბამებოდეს ნაშრომში წარმოდგენილ შედეგებს. სასურველია, სათაური არ შეიცავდეს 10-ზე მეტ სიტყვას. სათაურში სასურველი არ არის საკუთარი სახელების, სავაჭრო ნიშნების ან



ბრენდების დასახელებების გამოყენება, ასევე შემფასებელი ტერმინოლოგიის გამოყენება (მაგალითად: ზუსტი; მნიშვნელოვანი; კარგი და ა.შ.)

თუ ნაშრომის ავტორი სტუდენტია, სასურველია ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და მეცნიერ ხელმძღვანელის გვარი, სახელის დაწერა.

საკვანძო სიტყვების დაწერისას გაითვალისწინეთ, რომ საკვანძო სიტყვა უნდა გამოხატავდეს ნაშრომის ძირითად შინაარსს, ნაშრომში წარმოდგენილ მთავარ კონცეფციას. საკვანძო სიტყვები აადვილებს ნაშრომის ვებ-მოძიებას და შესაბამისად ხელს უწყობს ნაშრომის ციტირების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

ნაშრომში ფორმულები უნდა მომზადდეს MS Equation 3.0-ის რედაქტორში, ტექსტში განთავსდეს ცენტრირებულად და დაინომროს მარჯვენა მხრიდან თანმიმდევრულად.

ნაშრომში გამოყენებული ნახაზების/დიაგრამების/ცხრილების/ილუსტრაციების ფორმატი TIFF 300 dpi, დასახელება 10 pt, ცენტრირებული, დანომრილი.

ტექსტში გამოყენებული წყაროების (სათანადო წესით შედგენილი) ჩამონათვალი უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს და დაინომროს ტექსტში გამოყენების/მოხსენიების თანმიმდევრობით:

უცხოური წყაროები უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე;

რეზიუმეში და დასკვნაში ლიტერატურის მითითება დაუშვებელია.

ციტირების წესი:

შიდა ტექსტური მითითება: ტექსტში ციტირებისას (როცა ციტირებული ტექსტი უცვლელადაა გადმოტანილი) ციტირებული ტექსტი უნდა მოთავსდეს ბრჭყალებში, ხოლო ციტირების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს წყაროს ნომერი და ციტირებული ტექსტის გვერდი გამოყენებული ლიტერატურის ნუსხიდან, მაგალითად: ([4], გვ.64), ან ([6], გვ.89-90).

ანალოგიური წესით ხდება ციტირება, როცა ტექსტი პერიფრაზის სახითაა გადმოცემული (ავტორისეული იდეის შეუცვლელად), მაგრამ თუ პერიფრაზი



სრულად ფარავს წყაროსეულ ტექსტს და გვერდის მითითება არ არის აუცილებელი, ამ შემთხვევაში საკმარისია მითითოს მხოლოდ წყაროს ნომერი კვადრატულ ფრჩხილებში, მაგალითად [3].

სქოლიო: ავტორის შენიშვნები და კომენტარები უნდა გაფორმდეს სქოლიოს სახით გვერდის ბოლოს, დაინომროს არაბული რიცხვებით და შრიფტის ზომა უნდა იყოს 10 pt.





ND 2-O33

მოქმედებაშია: 30.11.2020

რევიზიის თარიღი: 30.11.2020

რევიზიის № 1
